საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

გაზ. „საქართველო“ 1919 წ. 26 მაისი.

დროშის აღწერა

(კანონი მიღებულია 1918 წელს სექტემბრის 10-ს)

1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელი (შვინდის ფერის) შავის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვით და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდისელფერისა), შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

1918 წლის სექტემბრის 16.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჟორდანია

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

## ღერბი საქართველოს რესპუბლიკისა

(კანონი მიღებულია 1919 წ. სექტემბრის 20-ს)

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს სახელმწიფოებრივი ღერბი.

2. ღერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

1918 წ. სექტემბრის 20.

დედანს ხელს აწერენ: საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## ღერბის აღწერილობა

(კანონი მიღებულია 1918 წ. დეკემბრის 27-ს)

1. შინდისფერ აღგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრ ცხენზედ. მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი. ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი. მარცხენა მხარეზედ თეთრი ფარი სახიანი, შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები;

უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირ ოქროსი და უზანგი ვერცხლისა;

ღერბის თავში რვა-კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი;

მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ვერცხლის მზე:

მთვარის და მზის აქეთ იქეთ ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

# სამხედრო დროშა

(კანონი მიღებული 1918 წლის დეკემბრის 27-ს)

1. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს ღერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდის ფერი არშია, გარშემორტმული ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუწუბი, ვერცხლის ზოლ-შემოვლებული. დროშის ფერი შვინდის ფერია, მოოქვრილ ლა[illegible]იანი, რომელზედაც ცალმეტად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

1918 წლის დეკემბრის 27

| | |
|---|---|
| საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე | ნ. ჩხეიძე |
| საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე | ნ. ჟორდანია |

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

# შტანდარტი საქართველოს რესპუბლიკისა

(კანონი მიღებული 1918 წლის დეკემბრის 27-ს)

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შესდგება კვადრატიული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუწუბებით შიგნითა მხრიდან.

არშიას გარს არტყია ოქრომკერდით მოქარგული ქართული სირმა.

ანძა არის სამფეროვანი: ვიწრო ზოლები - შავი და თეთრი, მომსხო ზოლები შვინდის ფერისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღეიდან მისი მიღებისა.

1918 წლის დეკემბრის 27.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჟორდანია

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის – ძლევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე.

/საქართველოს კონსტიტუცია, თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 5/.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# "დ ი დ ე ბ ა"

## ქართული ეროვნული ჰიმნი

სიტყვები და მუსიკა
კოტე ფოცხვერაშვილისა.

მედიდურად



საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive






---

## დიდება

### ქართული ეროვნული ჰიმნი.

I. დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობა – ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო,
ქართველ მხნე ერსა!

2. დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს, დიადსა,
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების,
შუქ-განთიადსა!

ქართული ეროვნული ჰიმნი დიდება
და [illegible] [illegible] 1918 წ.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

176

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

---

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 4, მუხ. 68).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

თბილისი.
1990 წლის 14 ნოემბერი.
№11-I ს.

ლზ.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი



(შავ-თეთრი გამოსახულება)

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# З А К О Н

## Республики Грузия

## О Государственном гербе Республики Грузия

В соответствии со статьей 180 Конституции (Основного Закона) Грузии Верховный Совет Республики Грузия п о с т а н о в л я е т:

1. Утвердить изображение Государственного герба Республики Грузия (прилагается).

2. Считать утратившим силу Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР от 24 апреля 1978 года о Государственном гербе Грузинской Советской Социалистической Республики (Ведомости Верховного Совета Грузинской ССР, 1978 г., № 4, ст.68).

Председатель Верховного Совета
Республики Грузия З.Гамсахурдиа.

Тбилиси.

14 ноября 1990 года.

N 11-Іс

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



საქართველოს რესპუბლიკის

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 181-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გამოსახულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1951 წ., № 2, მუხ. 21).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

თბილისი.
1990 წლის 14 ნოემბერი.

№12-I ს.

ლზ

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა



წინა პირი
(შავ-თეთრი გამოსახულება)



უკანა პირი
(შავ-თეთრი გამოსახულება)

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის სქემატური გამოსახულება



საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# З А К О Н

## Республики Грузия

## О Государственном флаге Республики Грузия

В соответствии со статьей I8I Конституции (Основного Закона) Грузии Верховный Совет Республики Грузия п о с т а н о в л я е т:

I. Утвердить изображение Государственного флага Республики Грузия (прилагается).

2. Считать утратившим силу Указ Президиума Верховного Совета Грузинской Советской Социалистической Республики от II апреля I95I года "О Государственном влаге Грузинской ССР" (Ведомости Верховного Совета Грузинской ССР, I95I г., № 2, ст.2I).

Председатель Верховного Совета
Республики Грузия З.Гамсахурдиа.

Тбилиси.
I4 ноября I990 года.
N12-Ic

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

63

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 182-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია (თან ერთვის).

2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მთელს რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს 1990 წლის 15 ნოემბრიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის ნოტები გამოქვეყნდეს.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., №4, მუხ. 69).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია

თბილისი.
1990 წლის 14 ნოემბერი.
№13-I ს.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი „დიდება"

ტექსტი და მუსიკა კ. ფოცხვერაშვილის

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

რზ.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

გაგა [illegible]

65

## კოტე ფოცხვერაშვილი

# ქართული ეროვნული ჰიმნი



საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

# დიდება

## ქართული ეროვნული ჰიმნი

### სიტყვები და მუსიკა - კოტე ფოცხვერაშვილის

მედიდურად - გუნდი
ან ფორტეპიანო



საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive





საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ
კულტურის სამინისტრო
ხალხური შემოქმედებისა და
კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის
რესპუბლიკური
სამეცნიერო - მეთოდური
ცენტრი

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive



# З А К О Н

## Республики Грузия

## О Государственном гимне Республики Грузия

В соответствии со статьей I82 Конституции (Основного Закона) Грузии Верховный Совет Республики Грузия п о с т а н о в л я е т:

I. Утвердить текст и музыкальную редакцию Государственного гимна Республики Грузия (прилагаются).

2. Исполнение утвержденного настоящим Законом Государственного гимна Республики Грузия ввести по всей республике с I5 ноября I990 года.

3. Текст и ноты музыки Государственного гимна Республики Грузия опубликовать.

4. Считать утратившим силу Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР о Государственном гимне Грузинской Советской Социалистической Республики от I4 апреля I978 года (Ведомости Верховного Совета Грузинской ССР, I978 г., № 4, ст.69).

Председатель Верховного Совета
Республики Грузия З.Гамсахурдиа.

Тбилиси.
I4 ноября I990 года.
N 13-Ic